# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 394

„ 10 " ოქტომბერი 2017 წ

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, მტკვრის ქუჩა №4-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.18.03.008.040) 185 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჯასთ ტიფლისისთვის" (ს/კ: 406211549) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, მტკვრის ქუჩა №4-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.18.03.008.040) 185 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჯასთ ტიფლისისთვის" (ს/კ: 406211549) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის N36.24.701 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, მტკვრის ქუჩა №4-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.18.03.008.040) 185 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით, შპს „ჯასთ ტიფლისისთვის" (ს/კ: 406211549)) გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური - 12 900 (თორმეტი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი